თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6475936

ნომერი: AR1965294

თარიღი : 08.05.2023

გაცემის თარიღი : 24.05.2023

გაცნობის თარიღი : 24.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ოთარ ჭილაძე , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამთა ხაჟომია პ/ნ 01019077125
- თბილისი ჟონეთის ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს სტუდია 9 კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 08 მაისის №AR1965294 განცხადებით მომართა თამთა ხაჟომიამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებით №01.10.14.007.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 17 ნოემბრიდან 2025 წლის 16 მაისის ჩათვლით.

სამსახურის 2023 წლის 02 მაისის №6441202 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 8295.83 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2095.86 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად 147.75 კვ.მ., საერთო ფართობად - 24425.1 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებით შეთანხმებული +15.00 - +54.60 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა №AR1963360 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებით დაშვებულია შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამჯერად ითხოვს კომერციულ ფართობად 1727.14 კვ.მ-ის ნაცვლად 1480.93 კვ.მ-ის, ავტოსადგომების ფართობად 9769.67 კვ.მ-ის ნაცვლად 8815.9 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2388.85 კვ.მ-ის ნაცვლად 2342.1 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 24425.1 კვ.მ-ის ნაცვლად 23931.32 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელს, ასევე, სურს სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი (407.96 კვ.მ.) და საწყობის ფართობი (344.99 კვ.მ.).

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებაში და:

1.1 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი - 407.96 კვ.მ., საწყობის ფართობი - 344.99 კვ.მ.

1.2 ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 1480.93 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად - 8815.9 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2342.1 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად - 23931.32 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (2023 წლის 02 მაისის №6441202 ბრძანებით ჩანაცვლებული არქიტექტურული გეგმების გათვალისწინებით) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 ნოემბრის №6214528 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge